



ეთიკის კომისიის რეკომენდაციის N019/13 ¹მიმოხილვა

1. შეკითხვა

2013 წლის 21 ოქტომბერს ადვოკატმა მიმართა ეთიკის კომისიას შემდეგი შეკითხვით: ეკისრება თუ არა ადვოკატს ვალდებულება, სამართალდამცავ ორგანოებს აცნობოს კლიენტის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, როდესაც ამ ინფორმაციას ადვოკატი იგებს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან გამომდინარე და ადვოკატი, კლიენტის თანხმობით, წყვეტს იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებას? მოედავება თუ არა ადვოკატს პროკურატურა-პოლიცია დანაშაულის დაფარვასა და განუცხადებლობაში?

2. ანალიზი

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად და კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ან/და მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია); ამასთანავე, არ გაამჟღავნოს კლიენტის ვინაობა, თუ ეს კლიენტმა წინასწარ წერილობით მოითხოვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1).

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევისმიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია: ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე; ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში „აპკ“), მუხლი 4).

ადვოკატის კლიენტთან ურთიერთობა ემყარება ადვოკატის ვალდებულებას, დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი. კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას. ეს ინფორმაცია შეიძლება შეეხებოდეს, როგორც უშუალოდ საქმეს, ასევე, იყოს ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის კლიენტის მიერ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შესახებ. ადვოკატისათვის კონფიდენციალური ინფორმაცია შესაძლებელია ცნობილი გახდეს უშუალოდ კლიენტისაგან ან სხვა ნებისმიერი წყაროდან პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. კლიენტის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა შეიტყო

¹ <https://gba.ge/pdf/5cf66950aef4d.pdf/25%20November%202013%20019.13.pdf>



საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. შესაბამისად, ეს ინფორმაცია მოექცევა ადვოკატთა შესახებ კანონის მე-7 მუხლით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლით დაცულ სფეროში და ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს ასეთი ინფორმაცია, მათ შორის არ მიაწოდოს სამართალდამცავ ორგანოებს. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგაც ადვოკატი ვალდებულია არ გაამჟღავნოს კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია, რადგან კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში. შესაბამისად, შეუძლებელია ეს ქმედება განხილულ იქნას, როგორც დანაშაულის დაფარვა ან დანაშაულის შეუტყობინებლობა.

3. დასკვნა

ადვოკატს ევალებოდა არ გაემჟღავნებინა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია, რადგან არ არსებობდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევები. ადვოკატს კლიენტისაგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ასევე უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც.